საგარეო ფაქტორების გავლენა გაცვლით კურსზე

ვახტანგ ხუტუაშვილი, სერგო სანიკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბარბაქაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია განიხილოს საქართველოში საგარეო ფაქტორების გავლენა გაცვლით კურსზე სამი დროითი პერიოდისთვის: 1998–1999 წლები, 2008–2009 წლები, 2014–2015 წლები. ეს ის პერიოდებია, როდესაც განხორციელდა გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურება. შესაბამისად ამ გაუფასურებებში საგარეო ფაქტორების გავლენა საინტერესო უნდა იყოს, მომავალში მსგავის შოკების თავიდან ასაცილებლად ან ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებით გადასატანად. შესაბამისად ნაშრომში ამ პერიოდების საგარეო ფაქტორების ანალიზის გარდა მოცემულია მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა. ბოლოს კი მოცემულია რეკომენდაციები თუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება მომავალში მსგავსი შოკების პირობებში.